ილლეთის უუსეკვალი

ᲘᲔᲡᲝ

muslim georgia

ჰზ. იესო შუამავალია

ისლამის მიხედვით, ღმერთმა ჰზ. იესოს ღვთიური გზავნილი (წმ. წიგნი) უწყალობა და ადამიანების ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებ-ლად მოავლინა. ისლამში ყველა შუამავ-ლის რწმენა, რწმენის ერთ-ერთი პირობაა. მუსლიმთა წმინდა წიგნ ყურანში უზენაესი გამჩენი ასე ბრძანებს:

„თქვი, რომ: „ვიწამეთ ჩვენ ალლაჰი და ის, რაც ზემოგვევლინა ჩვენ, და რაც ზემოევ-ლინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაყს, იაღყუბს და შტოებს ; და რაც ებოძა მუსას, ღისას და შუამავლებს მათი ღმერთისგან. და არ განვასხვავებთ რომელსამეს მათ შორის, და ჩვენ მორჩილნი (მუსლიმნი) ვართ მისი (ალლაჰისა)“. (ალი იმრანი, 3/84)

შუამავალი იესო არა მარტო ღვთის შუა-მავალი იყო, რომელიც ადამიანებს ჭეშ-მარიტი გზისკენ მოუწოდებდა, არამედ ის იყო შუამავალი, რომელმაც შუამავალ მუჰამმედის მოვლინება იწინასწარმეტყ-ველა. სინამდვილეში, ისლამური რწმენის მიხედვით, ყველა შუამავლის მიერ გადმო-ცემული რელიგია არის ისლამი, რაც ნიშ-ნავს ერთი ღმერთისადმი მთელი გულით მინდობას.

ასევე, ერთ-ერთ აიათში ღმერთი ბრძა-ნებს, რომ ჰზ. იესოც ჰზ. მოსეს მსგავსად ადრე მოვლინებული შუამავლების გზით მიდის.

„და ჩვენ წარვგზავნეთ ღისა ძე მარიამისა მათ კვალდაკვალ, დამმოწმებლად იმისა, რაც მასზე უწინ იყო თევრათში , და ჩვენ მი-ვეცით მას ინჯილი , მასშია ჭეშმარიტი გზა და ნათელი, დასტურად იმისა, რაც მასზე

უწინ იყო თევრათში ჭეშმარიტ გზად და შეგონებად ღვთისმოსავთათვის“. (მაიდე, 5/46)

ყურანში ჰზ. იესოს სახელი მოხსენიებულია ოცდახუთ ადგილას. ამავე დროს, ის ნახსენებია, როგორც „მარიამის ძე; მესია, ღვთის მსახური, ღვთის მაცნე“ და „სიტყვა ღვთისა; იგი ნახსენებია თხუთმეტ სურაში მრავალი უმაღლესი თვისებით, როგორიცაა “ალლაჰის სული და ალლაჰის ნიშანი”.

ჰზ. მარიამი; ჰზ. იესოს დედამიწაზე მოვლინება

ისლამის სარწმუნოება ჰზ. იესოს და ჰზ. მარიამს წმინდად თვლის და პატივს მიაგებს. ბევრი მუსლიმი შვილებს იესოს და მარიამს არქმევს. ყურანში ჰზ. მარიამის სახელის სურაცაა მოცემული. ასევე ერთი სურა ჰზ. მარიამის მამის, იმრანის სახელსაც ატარებს. ყურანში ჰზ.მარიამი წმინდა ქალად არის მოხსენიებული და ასევე აღწერილია შუამავალ იესოს სასწაულებრივი დაბადება.

„და როცა ანგელოზებმა უთხრეს: მარიამ! უეჭველად, ალლაჰმა შენ აგირჩია, უმწიკვლო გყო და გამოგარჩია სამყაროს ქალებს შორის“. (ალი იმრანი, 3/42)

მუსლიმებს სწამთ, რომ შუამავალი იესო ქალწულ მარიამისგან მოევლინა დედამიწას, თუმცა მათი პატივისცემის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ის ღვთის შუამავალია:

„უთხრა (მარიამმა): „უფალო ჩემო, როგორ მეყოლება მე ძე, როცა კაცი არ შემხებია მე?“ მიუგო (ალლაჰმა): სწორედ რომ ასე, ალლაჰი გააჩენს, ინებებს რასაც. როცა განიზრახავს რაიმეს გაჩენას, მხოლოდ ეტყვის მას: იქმენ! და უმალ იქმნება ისიც“. (ალი იმრანი, 3/47)

„უეჭველად, ალლაჰის წინაშე ღისას გაჩენის ფორმა ადამის გაჩენის ფორმის მსგავ-

სია: მან იგი მიწისგან შექმნა. შემდეგ უთხრა: იქმენ! და იქმნა ისიც“. (ალი იმრანი, 3/59)

ამრიგად, შუამავალ იესოს მოვლინება პირველი ადამიანის და შუამავლის ჰზ. ადამის მოვლინებასთანაა შედარებული. მისი სასწაულებრივი მოვლინება სამყაროს გამჩენის ყოვლისშემძლეობის დასტურია.

შუამავალ იესოს დაბადება და ჰზ. მარიამის განსაცდელი ყურანში ნათლადაა გადმოცემული.

„ბავშვით ხელში თავის ხალხთან დაბრუნდა. უთხრეს: „ჰეი მარიამ, ძალიან ცუდი საქმე ჩაიდინე !

დაო ჰარუნის, არ იყო მამაშენი ცუდი კაცი, და არც დედაშენი იყო მსუბუქი ყოფაქცევის ქალი!“

მიუთითა მისკენ . უთხრეს: „როგორ ველაპარაკოთ მას ჩვენ, როცა იგი ჩვილია, აკვანში მწოლიარე?“

მიუგო :„უეჭველად, მე ალლაჰის მსახური ვარ. მე მიბოძა წიგნი და მე დამადგინა შუამავლად.

და მე დამადგინა დალოცვილი, სადაც არ უნდა ვიყო; და მე სიცოცხლის ბოლომდე ლოცვა და ზექათი დამავალა!

და თავაზიანი ჩემი მშობელი დედისადმი, არ დავუდგენივარ ულმობელ მოძალადედ!

მშვიდობა იმ დღეს, როცა მე დავიბადე, იმ დღეს, როცა მოვკვდები და იმ დღესაც, როცა აღვდგები ცოცხალი!“ (მერიემ, 19/27-33)

შუამავალ იესოს სასწაულები

როგორც სხვა შუამავლების შემთხვევაში იყო, შუამავალ იესოსაც სასწაულები ევლინებოდა, რათა შუამავლობის მისია შეესრულებინა. ალი იმრანის სურაში შუამავლ იესოს სასწაულებია ჩამოთვლილი:

„და დაადგენს შუამავლად ისრაილის ძეთა წინაშე: „მე მოვედი თქვენთან სასწაულით თქვენი უფლისგან. მე გამოვძერწავ ტალახისგან ჩიტს, ჩავბერავ მას სულს, და ალლაჰის ნებით, ჩიტი გასულდგმულდება; მე განვკურნავ ბრმად დაბადებულს, კეთროვანს, გავაცოცხლებ მკვდარს, ნებითა ალლაჰისა. მე გეტყვით რასა ჭამთ თქვენ და რასაც ინახავთ სახლებში. უეჭველად, ამაშია სასწაული თქვენთვის, თუკი ხართ მორწმუნენი.

და (მოვედი) დასტურად იმისა, რომელიც ჩემს უწინ იყო თევრათში (თორაში), და რომ ნებადართულ ვქმნა თქვენთვის ზოგი რამ, რაც აკრძალული გქონდათ (აქამდე). და მოვსულვარ თქვენთან სასწაულით თქვენი უფლისგან. მაშ, იყავით ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავი და გამომყევით მე!

უეჭველად, ალლაჰი ჩემი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც. მაშ, თაყვანი ეცით მას. სწორედ, რომ ესაა გზა ჭეშმარიტი!“ (ალი იმრანი, 3/49-51)

შუამავალი იესო ღმერთი/ღმერთის შვილია?

ისლამში ერთი ღმერთის რწმენა უმთავრესი პრინციპია. შესაბამისად, ისლამი ჰზ. იესოს არც ღმერთად და არც ღვთის ძედ არ აღიარებს. ისლამის მიხედვით ის, როგორც სხვა შუამავლები, ერთ-ერთი შუამავალია. ისლამი მტკიცედ აცხადებს, რომ ღმერთი ერთია და მასზე ვინმეს გატოლება კატეგორიულად მიუღებელია.

„იგი გამჩენია ცათა და ქვეყნის! დაადგინა თქვენთვის მეუღლენი თქვენი სულიდანვე, და ასევე საქონელი წყვილებად. გამრავ-

ლებთ თქვენ იქ. არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლისმსმენი, ყოვლისმხედველი!“ (შურა, 42/11)

„არ შობილა და არც უშვია (მშობელი არ ყოფილა) და არც არავინ ყოფილა ბადალი მისი (და ვერც იქნება)!“ (იჰლას, 112/3)

ჰზ. იესო ჯვარს აცვეს?

ქრისტიანებს სწამთ სამება. მათ სჯერათ, რომ შუამავალი იესო ჩვენი ცოდვების გამო ჯვარს ეცვა, შემდეგ ზეცად ამაღლდა და ხელმეორედ დედამიწაზე მოსვლამდე სამოთხეშია. ქრისტიანების რწმენის მიხედვით ჰზ. იესო ღმერთია, ღვთის ძეა.

მუსლიმების რწმენის მიხედვით შუამავალი იესო ჯვარზე არ გაუკრავთ. ღმერთმა ის გადაარჩინა და ზეცად აამაღლა. უზენაესი გამჩენი ყურანში ასე ბრძანებს:

„და მათი სიტყვებიდან გამომდინარე, „უეჭველად, ჩვენ მოვკალით მესიჰი ღისა ძე მარიამისა, შუამავალი ალლაჰისა;“ და არ მოუკლავთ იგი და არ გაუკრავთ, მაგრამ მოეჩვენათ მათ , და უეჭველად, რომელნიც ვერ თანხმდებიან მასში, ამის გამო ეჭვში არიან, არავითარი ცოდნა არ აქვთ

ამის თაობაზე, მხოლოდ ვარაუდს მიყვებიან, და არ მოუკლავთ ნამდვილად იგი, არამედ ალლაჰმა აღამაღლა იგი თავისთან, რამეთუ ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია!

და წიგნის ხალხთაგან არავინაა ისეთი, რომ არ სწამებოდა სიკვდილამდე იგი , და აღდგომის დღეს ის იქნება მათ წინააღმდეგ მოწმე ;“ (ნისა, 4/157-158)

აიათში მოცემული ინფორმაცია ასეთია: „და არ მოუკლავთ ნამდვილად იგი, არამედ ალლაჰმა აღამაღლა იგი თავისთან,“. აღნიშნული აიათის განმარტებისას აზრთა სხვა და სხვაობაა. მუსლიმთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ღმერთმა იესო ცოცხლად აამაღლა და სამოთხეში აგრძელებს სიცოცხლეს. მეორე ნაწილის აზრით, იესო გარდაიცვალა, მაგრამ ჯვარზე არ გაუკრავთ. ღმერთმა ის მისი მოკვლის მსურველებისგან დაიხსნა და ზეცად აამაღლა.

ჰზ. იესო ჩვენი ცოდვებისთვის გარდაიცვალა?

ქრისტიანული რწმენის მიხედვით ჰზ. ადამმა და ჰზ. ევამ ღვთის წინაშე შესცოდეს და ეს ცოდვა შთამომავლობაზე გად-

მოვიდა. ამრიგად, მთელი კაცობრიობა ამ ცოდვის პასუხისმგებლობის ქვეშ იყო. შემდეგ ღმერთმა თავისი ძე მოავლინა და ამ ცოდვის გამოსასყიდად იესო ჯვარს ეცვა. ქრისტიანული რწმენის მიხედვით ქრისტეს ჯვარცმის აღიარების გარეშე ვერავინ ცხონდება.

მუსლიმებს კი სწამთ, რომ ჰზ. იესო ღვთის შუამავალია და ის ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად არ წამებულა. ქრისტიანული რწმენის მიხედვით ადამიანი ცოდვის შვილად იბადება, ხოლო მუსლიმებს სწამთ, რომ ყველა ადამიანი ამქვეყნად უცოდველი იბადება. ადამიანი შემდეგ ცოდვებს სჩადის და ამ ცოდვების გამო ეწოდება ცოდვილი. გამომდინარე აქედან, ისლამში დასაბამიდან ცოდვილობა მიღებული არ არის.

ისლამში ცოდვის კონცეფცია ემყარება რწმენას, რომ ერთი ადამიანის ცოდვა არ შეიძლება გადაეცეს მეორეს და ეს ასევე ეხება კეთილ საქმეებსაც. ღმერთი სამართლიანია და როგორც ამ სამართლიანობის მოთხოვნა, ინდივიდი მხოლოდ საკუთარ ქმედებებზეა პასუხისმგებელი. ყურანი ნათლად წერს, რომ ადამიანები არიან თავისუფალნი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე. ვინაიდან არ არსებობს თავდაპირველი ცოდვა, ასეთი ცოდვისგან ხსნაც საჭირო არ არის.

muslim georgia

muslim georgia foundation
international charity

რსს
მამომცემლობა